

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	გვ. 3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგების ანგარიშგება) -----	გვ. 4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	გვ. 5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	გვ. 6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	გვ. 7-25

შპს გალანტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	207 202	3 241 934
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	878 340	753 447
სხვა აქტივები	5	17 336	1 280
მარაგები		156 966	0
სულ მიმდინარე აქტივები		1 259 844	3 996 661
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2 021 447	4
არამატერიალური აქტივები	7	8	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 021 455	12
სულ აქტივები		3 281 299	3 996 673
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	208 528	284 352
საგადასახადო ვალდებულება		24 842	1 314
სულ მიმდინარე ვალდებულებები		233 370	285 666
სულ ვალდებულებები		233 370	285 666
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		300	300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 047 629	3 710 707
სულ საკუთარი კაპიტალი		3 047 929	3 711 007
სულ კაპიტალი		3 047 929	3 711 007
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 281 299	3 996 673

დირექტორი : ფარიდ მამედოვი

შპს გალანტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	207 202	3 241 934
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	878 340	753 447
სხვა აქტივები	5	17 336	1 280
მარაგები		156 966	0
სულ მიმდინარე აქტივები		1 259 844	3 996 661
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2 021 447	4
არამატერიალური აქტივები	7	8	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 021 455	12
სულ აქტივები		3 281 299	3 996 673
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	208 528	284 352
საგადასახადო ვალდებულება		24 842	1 314
სულ მიმდინარე ვალდებულებები		233 370	285 666
სულ ვალდებულებები		233 370	285 666
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		300	300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 047 629	3 710 707
სულ საკუთარი კაპიტალი		3 047 929	3 711 007
სულ კაპიტალი		3 047 929	3 711 007
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 281 299	3 996 673

დირექტორი: ფარიდ მამედოვი



F. M.

შპს გალანტი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
ამონაგები	<u>9</u>	7 054 254	7 474 390
თვითღირებულება	<u>10</u>	(4 863 496)	(4 984 994)
საერთო მოგება		2 190 758	2 489 396
სხვა შემოსავლები		1 142	1 745
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>11</u>	(206 068)	(183 622)
საოპერაციო მოგება		1 985 832	2 307 519
ფინანსური შემოსავალი	<u>12</u>	13 516	21 301
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(45 262)	19 736
მოგება დაბეგვრამდე		1 954 086	2 348 556
მოგების გადასახადი	<u>13</u>	(392 575)	(279 000)
წმინდა მოგება		1 561 511	2 069 556
მთლიანი სრული შემოსავალი		1 561 511	2 069 556

შპს "გალანტი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	300	3 710 707	3 711 007
წმინდა მოგება		1 561 511	1 561 511
პერიოდის სრული შემოსავალი		1 561 511	1 561 511
გაცემული დივიდენდი		2 224 589	2 224 589
2024 წლის 31 დეკემბერი	300	3 047 629	3 047 929

შპს გალანტი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2024 წ.	2023 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2 019 157	2 486 388
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2 385 100)	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(2 603 648)	(1 838 699)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(2 969 591)	647 689
სავალუტო კურსის ეფექტი		(65 141)	26 517
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	ჰ	3 241 934	2 567 728
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	ჰ	207 202	3 241 934

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები და სააღრიცხვო პოლიტიკა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს გალანტი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202362978. კომპანიის იურიდიული მისამართი საანგარიშგებო პერიოდში არის ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გ. #77ა, ფაქტიური მისამართი - თბილისი, ქვიშხეთის ქ. N8; კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2007 წლის 1-ელი თებერვლიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კოსმეტიკისა და პარფიუმერიის იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე, დამატებით ეკონომიკურ საქმიანობას კი, საკუთარი უძრავი ქონების (მიწის და არასაცხოვრებელი ფართის) გაქირავება.

შპს გალანტის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის ერთპიროვნული მფლობელია ნიზამ მამედოვი, პ.ნ. 01023001258, ხოლო დირექტორი ფარიდ მამედოვი, პ.ნ. 01019033961.

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებში: სს საქართველოს ბანკი 204378869 და სს პროკრედიტ ბანკი 204851197.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 300 ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 4 ადამიანი.

კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, არ წარმოადგენს ჯგუფის წევრს, რაც იმას ნიშნავს, რომ, არ არის მშობელი საწარმო და არ არის შვილობილი საწარმო.

კომპანია, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკმაყოფილებს მესამე კატეგორიის საწარმოს მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, დაწყებული პირველად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების პერიოდიდან დასრულებული მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადება, წარდგენა, შეფასება და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები და ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფას სტანდარტები)* შესაბამისად, წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური, შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.

კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კონცეპტუალური საფუძვლებით მოცემულ განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს; შესაბამისად, მუხლების (ელემენტების) აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ან გასვლა, ამავე დროს, მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ და გონივრულად შეფასდეს.

ანგარიშგებაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები, არ ხდება მათი ურთიერთგადაფარვა, თუ ეს არ მოითხოვება/დაიშვება სტანდარტით.

წარდგენა

კომპანია მსს ფას სტანდარტებზე პირველად გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენის პერიოდულობა ითვალისწინებს წარდგენას წელიწადში ერთხელ.

კომპანია სრულად აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს; არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობები, რაც ექვს გააჩენს კომპანიის შესაძლებლობებზე, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია განცალკევებით, არაარსებითი მუხლები დაჯგუფებულია მათი ფუნქციური ერთგვაროვნების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანგარიშგების სრული პაკეტი შეიცავს საანგარიშგებო პერიოდს, რომელიც წარმოდგენილია წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად:

- ⊥ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- ⊥ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგების ანგარიშგება);
- ⊥ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- ⊥ ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- ⊥ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.

შეფასება

კომპანია, ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასებისა და წარდგენისთვის იყენებს ქართულ ლარს, რომელიც არის საწარმოს ფუნქციონალური, შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღიარებისა და შეფასების საფუძველია პირვანდელი და რეალური ღირებულება.

ბალანსის შედგენის თარიღისათვის სავალუტო ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით; წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობა, რომელიც მიიღება ტრანზაქციების განხორციელებასა და, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, აღიარებულია „მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“, მოგებად ან ზარალად, წლის ბოლოს არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით. არაფულადი აქტივების გადაფასება არ ხდება.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებულია საბოლოო გაცვლითი კურსი, რომელიც მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა არის განსაზღვრული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ეთოპლიობა, რომელსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. სააღრიცხვო პოლიტიკაზე ორიენტირებულია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მეთოდები და ფორმები, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის მიერ, მის ფასს მოთხოვნების მე-10 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის საწარმოს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები.

კომპანია, თავის სააღრიცხვო პოლიტიკაში, ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებასა და შეფასებას ახდენს **სრულად** მსს ფას სტანდარტის მე-11 განყოფილების მოთხოვნების მიხედვით:

- ✓ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე;
- ✓ ფინანსური აქტივები ან ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით (ოპერაციის / გარიგების ფასით);
- ✓ მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის ანგარიშ-ფაქტურაში (ინვოისში) მითითებული ფასი.

შემდგომი შეფასება

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება მისაღები ან გადასახდელი ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

უცხოურ ვალუტაში მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, მსს ფასს 30.10 პუნქტის მიხედვით.

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება.

კომპანია ფლობს შემდეგ **ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტს:**

- ფულად სახსრებს რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე (მსს ფასს 11.8);
და ფლობს **სავალო ინსტრუმენტებს:**
- სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები (მსს ფასს 11.9; 11.10).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება, აღიარება და შეფასება

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ეს ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია დაუყოვნებლივ საბითუმო გასაყიდად, იმპორტის სასაქონლო-საბაჟო დეკლარაციის შეფასებისთანავე, მარაგის დასაწყობების გარეშე, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში ჩართულია შეძენის დანახარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია: მიწოდების პირობა და გადახდის პირობა.

ყველა შემთხვევაში, კომპანია, ერთზე მეტი სახეობის მატერიალური ფასეულობის იმპორტს განახორციელებს ერთიანი სატრანსპორტო საშუალებით. გადაზიდვის და ყველა პირდაპირი ხარჯი ნაწილდება სასაქონლო ნომენკლატურის სახეებზე მათი ფიზიკური წონის ხვედრითი წილის პროპორციულად და გადანაწილდება ინდივიდუალურად ფასის მიხედვით.

ხარჯებად აღიარება

როცა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგი გაიყიდება, მათი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმავე პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავალი.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, ვინაიდან სავაჭრო მოთხოვნის ვადის დარღვევის ფაქტს ადგილი არ ქონია არც ერთ საანგარიშგებო პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ვადის გადამეტება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებზე, მოხდება მოთხოვნების შეფასება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კომპანიაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მატერიალური და არამატერიალური აქტივების სახით:

მატერიალური აქტივები:

მიწა, შენობები, კომპიუტერი და სხვა მცირეფასიანი ტექნიკა და სხვა ინვენტარი.

შპს გალანტის მიერ 21/08/2024წ. შესყიდულია უძრავი ქონება, მიწა და მასზე დამაგრებული 4 შენობა-ნაგებობა. საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.11.03.024.086) შეფასების მიზნით, კერძოდ მიწის ფასისა და შენობა-ნაგებობების ფასის დადგენის მიზნით, ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და ადმინისტრირებისათვის, კომპანიის მიერ მოწვეულ იქნა სპეციალისტი, და, დადგინდა, რომ შესყიდული ქონების მთლიანი ღირებულება, 2 011 525 (ორი მილიონ თერთმეტი ათას ხუთას ოცდახუთი) ლარი დღგ-ის გარეშე, გადანაწილდეს შემდეგნაირად:

მიწის ღირებულება - 921 510 (ცხრაას ოცდა ერთი ათას ხუთას ათი) ლარი; სულ შენობების ჯამური ღირ.-ზე დღგ-ის გარეშე 1 090 015 (ერთი მილიონ ოთხმოცდაათი ათას თხუთმეტი) ლარი;

მ.შ., შენობების ღირებულება გაიმიჯნა ცალ-ცალკე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით:

შენობა 1 _ 468 862 (ოთხას სამოცდარვა ათას რვაას სამოცდაორი) ლარი;

შენობა 2 _ 461 760 (ოთხას სამოცდაერთი ათას შვიდასსამოცი) ლარი;

შენობა 3 _ 89 568 (ოთხმოცდაცხრა ათას ხუთას სამოცდარვა) ლარი;

შენობა 4 _ 69 825 (სამოცდაცხრა ათას რვაას ოცდახუთი) ლარი.

საწარმომ ძირითადი საშუალებების ღირებულება აღიარა აქტივად 21/08/2024წელს, რადგან მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით (გაქირავებით) მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

საწარმო მ-საშ-ბების თავდაპირველი აღიარებისა და შემდგომი შეფასების მიზნით იყენებს **თვითღირებულების მოდელს** (თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით).

მიწა და შენობა-ნაგებობები აღირიცხა ცალ-ცალკე.

მიმდინარე საანგარიშგებო 2024 წელს შენობა-ნაგებობებზე ცვეთის დარიცხვა არ მოხდა, რადგან მათი გამოყენება ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით დაიწყო მომდევნო 2025 წელს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

2024 წელს, ასევე შეძენილია სულ სხვა ინვენტარი 9 932 ლარის ღირებულებით, მ.შ. ცენტრალური გათბობა შენობების კეთილმოწყობისთვის 9745 ლარი დღგ-ის გარეშე, რომლის გამოყენება დაიწყო მომდევნო 2025 წლიდან, და 1000ლარამდე ღირებულების საგადასახადო ჯგუფის - სხვა მცირეფასიანი ინვენტარი 186 ლ., რომელიც აღიარდა ძირითად საშუალებად და რომელზეც ცვეთის დარიცხვა დაიწყო 01/11/2024წ.-დან.

ქვემოთ მოცემულია საწარმოს საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები მათი კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	50 წელი
სხვა ინვენტარი	6-7 წელი
1000 ლარამდე ღირ.-ის ინვენტარი	2 წელი
კომპიუტერი და სხვა მცირეფასიანი ტექნიკა	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს სააღრიცხვო კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით. არამატერიალური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივი ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდება თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

დაბეგვრა

კომპანიის მოგების გადასახადი გაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და შეადგენს წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას დარიცხულ და გადახდილ თანხას.

დანარჩენი საგადასახადო ხარჯი შედგება სხვადასხვა მიმდინარე გადასახადებისგან, რომლებიც გაანგარიშებულია და აღიარდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფუნქციურ ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით, კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი - აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები, - ხელფასები და ბონუსები, აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ფინანსური რისკები და ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

ბ) საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას აღნიშნული რისკი არ აქვს, რადგან სასესო ვალდებულებები არ გააჩნია.

გ) სავალუტო რისკი და მგრძნობელობა

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

კომპანიას საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული აქვს ფულადი სახსრები როგორც ლარში, ასევე, უცხოურ ვალუტაში, 1-დან 3 თვემდე ვადით.

კომპანიის ძირითადი ტრანზაქციები მომწოდებლებთან განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, ამიტომ, საკუროს სხვაობის რისკი გამოწვეულია სავაჭრო ვალდებულებებითაც;

აქედან გამომდინარე, კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკები, როგორც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებით, ასევე ვალდებულებებით.

რისკების მოსალოდნელი გავლენა მოცემულია დანართი 1-ის სახით - სავალუტო რისკები.

დანართი 1

სავალუტო რისკები

2024 წელი 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ექვ. ლარში	ევრო	ექვ. ლარში
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	0	0	15000	43959
მომწოდებელთან გადახდილი ავანსი	0	0	3	10
სულ ფინანსური აქტივები			15003	43969
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	5	15	67226	197013
სულ ფინანსური ვალდებულებები	5	15	67226	197013

დანართი 2 -ის სახით წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც ასახავს კომპანიის მგრძნობელობას ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. ეს განაკვეთი გამოიყენება მენეჯმენტის მიერ რისკების შიდა კონტროლისა და სავალუტო კურსის სხვაობის გავლენის შეფასებისთვის.

დანართი 2

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

2024 წელი 31 დეკემბერი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	(+) 20%	(-) 20%	(+) 20%	(-) 20%
მოგება/ზარალი ფინანსურ აქტივებზე	0	0	8794	-8794
მოგება/ზარალი ფინანსურ ვალდებულებებზე	0	0	-39403	39403

დ) ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის რისკის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტის ფლობას, ასევე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო ვალდებულება.

შენიშვნა-3

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

(ლარში)

	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
ფული საბანკო ანგარიშებზე	207202	3241934
	207202	3241934

შენიშვნა-4

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

(ლარში)

	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	878 340	753 447
	878 340	753 447

შენიშვნა-5

სხვა აქტივები

(ლარში)

	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	17 336	1 280
	17 336	1 280

შენიშვნა-6

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	კომპიუტერი და სხვა მცირე ტექნიკა	მიწა	შენობები	სხვა ინვენტარი	ჯამი
----------------------	----------------------------------	------	----------	----------------	------

(ლარში)

ძირითადი საშუალებები

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 291				2 291
შესყიდვა		921 510	1 090 015	9 932	2 021 458
გასვლა					
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 291	921 510	1 090 015	9 932	2 023 749

დაგროვილი ცვეთა

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 287				2 287
------------------------------	-------	--	--	--	-------

2024 წლის ცვეთის ხარჯი		15	15
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 287	15	2 302
<u>საბალანსო ღირებულება</u>			
2023 წლის ბოლოს	4		4
2024 წლის ბოლოს	4	921 510	1 090 015
		9 917	2 021 447

შენიშვნა-7

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
(ლარში)		
<u>არამატერიალური აქტივები</u>		
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	1 178	1 178
შემოსავლა		
გასვლა		
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	1 178	1 178
<u>დაგროვილი ამორტიზაცია</u>		
2023 წლის ბოლოს	1 170	1 170
2024 წლის ამორტიზაციის ხარჯი		
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია		
2024 წლის ბოლოს	1 170	1 170
<u>საბალანსო ღირებულება</u>		
2023 წლის ბოლოს	8	8
2024 წლის ბოლოს	8	8

შენიშვნა-8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარში)	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	197 028	284 352
ვალდებულება საწარმო პერსონალის მიმართ	11 500	-
	208 528	284 352

შენიშვნა-9

ამონაგები

(ლარში)	31.12.2024
საქონლის რეალიზაცია	7 046 254
შემოსავალი ძ/ს უძრავი ქონების / მიწის იჯარიდან	8 000
	7 054 254

შენიშვნა-10

თვითღირებულება

(ლარში)	31.12.2024
საქონლის თვითღირებულება	(4 863 496)
	(4 863 496)

შენიშვნა-11

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(ლარში)	31.12.2024
შრომის ანაზღაურება	(176 429)
მივლინების ხარჯები	(4 324)
ბანკის მომსახურება	(8 762)
კომუნიკაციის ხარჯები	(1 727)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15)
ქონების გადასახადის ხარჯი	(5 500)
საპენსიო შენატანის ხარჯი (დამსაქმებლის)	(980)
საქველმოქმედო ხარჯი	(3 465)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(3 179)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(1 689)
	(206 068)

შენიშვნა-12

ფინანსური შემოსავალი

(ლარში)	31.12.2024
საპროცენტო შემოსავლები რეზიდენტ ბანკებში	13 516
	13 516

(ლარში)

მოგების გადასახადი

31.12.2024

(392 575)

(392 575)

მოგების გადასახადი და ბიუჯეტში გადახდილი სხვა გადასახადები

კომპანიის მიერ, ბიუჯეტში გადახდილი სხვა გადასახადები, როგორც წესი, ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობის ნაწილში აისახება ცალკე მუხლებად, ხოლო, განაწილებულ დივიდენდზე გადახდილი მოგების გადასახადი, და დივიდენდიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, განისაზღვრება საფინანსო საქმიანობის ნაწილში, როგორც დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

პროცენტები და დივიდენდები

პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები აისახება განცალკევებით. მათი კლასიფიცირება ხდება უცვლელად, საანგარიშგებო პერიოდიდან პერიოდამდე, როგორც, საოპერაციო, ან საფინანსო საქმიანობა.

მიღებული პროცენტები, და გადახდილი დივიდენდები, თუმცა, შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები (რადგან ისინი მონაწილეობენ წმინდა მოგებისა და ზარალის განსაზღვრაში), ისე, მათი კლასიფიცირება შესაძლებელია - ფინანსური საქმიანობის ნაწილში, - რადგან ეს ელემენტები წარმოადგენს ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებს; კომპანიას შესაბამისი მუხლები წარმოდგენილი აქვს ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობის კატეგორიებად.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტები

საწარმო წარადგენს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების შეჯერებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ ეკვივალენტურ მუხლებთან.

საწარმოს არ მოეთხოვება ამგვარი შეჯერების წარმოდგენა, თუ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხა იდენტურია იმ თანხის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებია ანალოგიური სახელწოდებით.

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება, როდესაც განიხილება დანარჩენ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით) და საწარმოს შესაძლებლობა - დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, შეცვლილი ვითარებისა და პირობების შესაბამისად.

ფულადი ნაკადები უცვლელადაა კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, ისე, საფინანსო საქმიანობაში, საინვესტიციო .

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კომპანიის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომლის დროსაც შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები ნაჩვენებია ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები წარმოდგენილია შემდეგი მუხლებით:
(ლარში)

პერიოდი	2024 წ.
მუხლი	
მიყიდველისაგან მიღებული ფული	8 192 080
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	-5 079 911
ბიუჯეტში გადახდილი დანარჩენი გადასახადები	-1 273 536
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასი და ბონუსი	-140 400
გადახდილი საბანკო და სხვა ხარჯები	-16 946
საპენსიო ფონდში სავალდებულო შენატანი	-1 957
საქველმოქმედო ხარჯი	-3 465
ხაზინიდან გადასახის დაბრუნება	331 792
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	11 500
	2 019 157

კომპანიის წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოდგენილია შემდეგი მუხლით
(ლარში)

პერიოდი	2024 წ.
მუხლი	
ძირითადი საშუალებების შეძენა	-2 385 100
	-2 385 100

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების კატეგორიების მუხლებია:
(ლარში)

პერიოდი	2024 წ.
მუხლი	
მიღებული პროცენტები	13 516
გადახდილი დივიდენდი	-2 113 360
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი დივიდენდზე	-111 229
გადახდილი მოგების გადასახადი განაწილებულ დივიდენდზე	-392 575
	-2 603 648

**სავალუტო კურსის ეფექტის ფულადი ნაკადების მუხლები
(ლარში)**

პერიოდი	2024 წ.
მუხლი	
ფულადი სახსრების გადაფასება	-29 806
ფულადი სახსრების კონვერტაცია	-35 335
	-65 141

სხვა განმარტებითი შენიშვნები

საწარმომ, ხელმძღვანელობის კომენტარებთან ერთად, უნდა გაამჟღავნოს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მნიშვნელოვანი ნაშთები, რომლებიც საწარმოს ეკუთვნის, მაგრამ მათი გამოყენება საწარმოს არ შეუძლია (მიზეზები: უცხოური ვალუტის გაცვლის კონტროლი, სხვა საკანონმდებლო შეზღუდვები და ა.შ.); კომპანიას საანგარიშგებო პერიოდისთვის ასეთი ნაშთები არ გააჩნია.

კომპანიის საქმიანობაში არ ფიქსირდება ისეთი მოვლენები, რომლის შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება სხვა განმარტებით შენიშვნებაში გამჟღავნებას.

დამატებითი აქტუალური ინფორმაცია

შპს გალანტის მენეჯმენტმა გადაწყვიტა, დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოადგინოს შემდეგი მაჩვენებლები, მონაცემები და ცხრილები:

Ψ საწარმოს ძირითადი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები;

Ψ საწარმოს შესყიდვების და გაყიდვების ჰორიზონტალური ანალიზი (დანართი-3);

Ψ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზები (დანართები 4,5,6,7,8).

კომპანიის ძირითადი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია შემდეგი სისტემით: ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები, ლიკვიდურობის მაჩვენებლები, და, ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები;

Ψ ძირითადი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები 2024-2023 წწ.

2024 წ. ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები ლარში			2023 წ. ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები ლარში		
წმინდა აქტივების ღირ.	წმინდა მიმდინარე აქტივი	საკუთარი საბრუნავი სახსრები	წმინდა აქტივების ღირ.	წმინდა მიმდინარე აქტივი	საკუთარი საბრუნავი სახსრები
3047929	1026474	1026474	3711007	3710995	3710995

საწარმოს ლიკვიდურობის მაჩვენებლები 2024-2023 წწ.

2024 წ. ლიკვიდურობის მაჩვენებლები			2023 წ. ლიკვიდურობის მაჩვენებლები		
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფ.	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფ.	საერთო ლიკვიდურობის კოეფ.	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფ.	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფ.	საერთო ლიკვიდურობის კოეფ.
0,89	4,73	5,40	11,35	13,99	13,99

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები 2024-2023 წწ.

2024 წ. ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები				2023 წ. ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები			
საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი
13,06	0,08	1,08	0,07	12,99	0,08	1,08	0,07

Ψ შესყიდვების და გაყიდვების ჰორიზონტალური ანალიზი

დანართი-3

შპს გალანტი

შესყიდვების და გაყიდვების ჰორიზონტალური ანალიზი 2024 წელთან მიმართებაში

მუხლები	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ული მაჩვ.)
ლარში	2024	2023	2024-ში	2024-ში
შესყიდვა (იმპორტი)				
იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირ.	4998783	4 956 474	42 309	0,8
იმპორტზე დარიცხული დღგ	895697	894 162	1 535	0,2
რეალიზაცია				
რეალიზებული საქონლის ღირ. დღგ-ის ჩათვლით	8307533	8 819 771	-512 238	-6,2
საქონლის რეალიზაციაზე დარიცხული დღგ	1261290	1 345 390	-84 100	-6,7
მომსახურების ღირ. დღგ-ის ჩათვლით				
(უძრავი ქონების მიწის იჯარა)	9440	0	9440	100,0
მომსახურების რეალიზაციაზე დარიცხული დღგ	1440	0	1440	100,0
სულ რეალიზაცია დღგ-ის ჩათვლით				
	8316973	8819771	-502798	-6,0
სულ დარიცხული დღგ				
	1262730	1345390	-82660	-6,5

Ψ ფინანსური ანგარიშგებების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზები

ჰორიზონტალური ანუ დინამიკური (ტრენდული) ანალიზი არის საწარმოს შედეგების მიმოხილვა ორწლიან პერიოდში, და წარმოდგენილია ცხრილების სახით - დანართები: 4, 5, 6; ხოლო, **ვერტიკალური ანალიზი** არის შედეგების შესწავლა ერთი საანგარიშგებო პერიოდის შიგნით, და წარმოდგენილია შემდეგი ცხრილების სახით: დანართები 7, 8.

დანართი-4

შპს გალანტი

2024 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების ჰორიზონტალური ანალიზი 2023 წელთან მიმართებაში

საბალანსო მუხლები	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ული მაჩვ.)
(ლარში)	2024	2023	2024-ში	2024-ში
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	207202	3241934	-3034732	-1465
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	878340	753447	124893	14
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	0	0	
სხვა აქტივები	17336	1280	16056	93
მარაგები	156966	0	156966	100
სულ მიმდინარე აქტივები	1259844	3996661	-2736817	-217
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2021447	4	2021443	100
არამატერიალური აქტივები	8	8	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	2021455	12	2021443	100
სულ აქტივები	3281299	3996673	-715374	-22
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	208528	284352	-75824	-36
საგადასახადო ვალდებულება	24842	1314	23528	95
სულ მიმდინარე ვალდებულებები	233370	285666	-52296	-22
სულ ვალდებულებები	233370	285666	-52296	-22
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	300	300	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3047629	3710707	-663078	-22
სულ საკუთარი კაპიტალი	3047929	3711007	-663078	-22
სულ კაპიტალი	3047929	3711007	-663078	-22
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3281299	3996673	-715374	-22

დანართი-5

შპს გალანტი

2024 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი 2023 წელთან მიმართებაში

მოგება ზარალის მუხლები	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ული მაჩვ.)
(ლარში)	2024	2023	2024-ში	2024-ში
ამონაგები	7054254	7474390	-420136	-6
თვითღირებულება	-4863496	-4984994	121498	-2
საერთო მოგება	2190758	2489396	-298638	-14
სხვა შემოსავლები	1142	1745	-603	-53
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-206068	-183622	-22446	11
საოპერაციო მოგება	1985832	2307519	-321687	-16
ფინანსური შემოსავალი	13516	21301	-7785	-58
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	-45262	19736	-64998	144
მოგება დაბეგვრამდე	1954086	2348556	-394470	-20
მოგების გადასახადი	-392575	-279000	-113575	29
წმინდა მოგება	1561511	2069556	-508045	-33
მთლიანი სრული შემოსავალი	1561511	2069556	-508045	-33

დანართი-6

შპს გალანტი

2024 წლის საკუთარი კაპიტალის მუხლის ჰორიზონტალური ანალიზი 2023 წელთან შედარებით

საკუთარი კაპიტალის ცვლილების მუხლი	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ად)
(ლარში)	2024 წ.	2023 წ.	2024-ში	2024-ში
გაცემული დივიდენდი	2224589	1581000	643589	28,93

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (დანართი-7) წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თითოეული მუხლის %-ული სტრუქტურა მთავარ მაჩვენებელთან - სულ აქტივები - მიმართებაში, და გამოყვანილია ხვედრითი წილის გადახრა საანგარიშგებო წლის ბოლოს.

დანართი-7

შპს გალანტი

2024 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური სტრუქტურა %-ად

მაჩვენებლები	2024 წ ბოლოს		2024 წ დასაწყისში		2024 წ ბოლოს
ბალანსის მუხლები	ლარი	ხვ/წ %	ლარი	ხვ/წ %	ხვ/წილის გადახრა
აქტივები					
მიმდინარე აქტივები					
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	207202	6,31	3241934	81,12	-74,80
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	878340	26,77	753447	18,85	7,92
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	0,00	0	0,00	0,00
სხვა აქტივები	17336	0,53	1280	0,03	0,50
მარაგები	156966	4,78	0	0,00	4,78
სულ მიმდინარე აქტივები	1 259 844	38,39	3 996 661	100,00	-61,61
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	2021447	61,61	4	0,00	61,60
არამატერიალური აქტივები	8	0,00	8	0,00	0,00
სულ გრძელვადიანი აქტივები	2021455	61,61	12	0,00	61,61
სულ აქტივები	3 281 299	100	3 996 673	100	0,00
ვალდებულებები					
მიმდინარე ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	208528	6,36	284352	7,11	-0,76
საგადასახადო ვალდებულება	24842	0,76	1314	0,03	0,72
სულ მიმდინარე ვალდებულებები	233370	7,11	285666	7,15	-0,04
სულ ვალდებულებები	233 370	7,11	285 666	7,15	-0,04
კაპიტალი					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	300	0,01	300	0,01	0,00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3047629	92,88	3710707	92,84	0,03
სულ საკუთარი კაპიტალი	3047929	92,89	3711007	92,85	0,04
სულ კაპიტალი	3 047 929	92,89	3 711 007	92,85	0,04
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 281 299	100,00	3 996 673	100,00	0,00

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

ამ ცხრილში გამოთვლილია ანგარიშგების ყველა მუხლის პროცენტული ფარდობა ამონაგების, როგორც ცენტრალური მაჩვენებლის, მიმართ (დანართი-8);

დანართი-8

შპს გალანტი

2024 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ვერტიკალური სტრუქტურა

მოგება ზარალის მუხლები	2024 წ.	ხვედრითი წილი %-ად
(ლარში)		
ამონაგები	7 054 254	100
თვითღირებულება	-4 863 496	-68,94
საერთო მოგება	2 190 758	31,06
სხვა შემოსავლები	1 142	0,02
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-206 068	-2,92
საოპერაციო მოგება	1 985 832	28,15
ფინანსური შემოსავალი	13 516	0,19
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	-45 262	-0,64
მოგება დაბეგვრამდე	1 954 086	27,70
მოგების გადასახადი	-392 575	-5,57
წმინდა მოგება	1 561 511	22,14
მთლიანი სრული შემოსავალი	1 561 511	22,14

დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

მსს ფასს 33-ე განყოფილების მოთხოვნის საფუძველზე, კომპანია ამჟღავნებს შემდეგ ინფორმაციას:

კომპანიისთვის, როგორც ანგარიშვალდებული საწარმოსათვის, არ არსებობს **პირი ან საწარმო**, რომელიც მიიჩნევა დაკავშირებულ მხარედ, და რომელსაც შეუძლია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალზე ზეგავლენის მოხდენა. ანგარიშვალდებული საწარმო არ შედის არცერთ სხვა საწარმოსთან ჯგუფის წევრად.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, კომპანიას არ გააჩნია ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები, არც საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, წინამდებარე ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ადგილი ჰქონდა მხოლოდ არამაკორექტირებელ მოვლენას, კერძოდ:

2025 წლის 21 მარტიდან, კომპანიამ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რის შედეგადაც განახლდა კომპანიის მისამართი, ეკონომიკური საქმიანობის სახეები, და ამონაწერი (26/03/2025):

იურიდიული და ფაქტიური მისამართი გახდა - თბილისი, გლდანის რაიონი, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N43.

გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები დარეგისტრირდა როგორც:

საბითუმო ვაჭრობა პარფიუმერიით და კოსმეტიკით _ G.46.45.0

არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა _ G.46.90.0

საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა _ L.68.20.1

საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა _ L.68.20.2

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და გამოცემის ნებართვის გაცემა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მისი გამოცემის შემდეგ, აქვს მხოლოდ მესაკუთრეს (მსს ფასს 32.9 პუნქტი).

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 18 სექტემბერს.

შპს გალანტი

დირექტორი : ფარიდ მამედოვი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ადგილი ჰქონდა მხოლოდ არამაკორექტირებელ მოვლენას, კერძოდ:

2025 წლის 21 მარტიდან, კომპანიამ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რის შედეგადაც განახლდა კომპანიის მისამართი, ეკონომიკური საქმიანობის სახეები, და ამონაწერი (26/03/2025):

იურიდიული და ფაქტიური მისამართი გახდა - თბილისი, გლდანის რაიონი, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N43.

გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები დარეგისტრირდა როგორც:

საბითუმო ვაჭრობა პარფიუმერიით და კოსმეტიკით - G.46.45.0

არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა - G.46.90.0

საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა - L.68.20.1

საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა - L.68.20.2

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და გამოცემის ნებართვის გაცემა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მისი გამოცემის შემდეგ, აქვს მხოლოდ მესაკუთრეს (მსს ფასს 32.9 პუნქტი).

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 18 სექტემბერს.

შპს გალანტი

დირექტორი: ფარიდ მამედოვი

